



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N158/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ენვერი აბულაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ეთიკის კომისიას ადვოკატის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მიმართა სასამართლომ. ადვოკატი სამოქალაქო საქმეთა პალატაში მიმდინარე სასამართლო პროცესი დასრულებამდე ადგა და მოსამართლეთა უნებართვოდ დატოვა სხდომის დარბაზი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნების დროს, სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ“, თქვენი დროც მოვა“. ამ დროს ადვოკატი მარჯვენა ხელით, საჩვენებელი თითის შესტიკულაციით ახორციელებდა ამ სიტყვების დემონსტრირებას, ადვოკატის ხელი კი მოსამართლეთა კათედრისკენ იყო მიმართული.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ აღძრა დევნა ადვოკატის მიმართ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატის მხრიდან დარღვევულად ჩაითვა ადვოკატის ვალდებულება დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქვეყნის წესებს, ზუსტად და განუხრელად დაიცვას ეთიკის ნორმები და არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები. ადვოკატის, როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენლის პროფესიული ვალდებულებები სასამართლოს მიმართ, უნდა ეფუძნებოდეს მართლმსაჯულების ინტერესს, ადვოკატის პროფესიულ თავისუფლებას და ღირსებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ეთიკის წესების დაცვას. დაცვის უფლების განხორციელებისას ადვოკატი შეზღუდულია კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმებით. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქვეყნის წესებს, რომელიც საპროცესო კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

ადვოკატის სასამართლო პროცესზე მოქმედება, ასევე რეპლიკა, როდესაც იგი დგება სასამართლო პროცესის დასრულებამდე და მოსამართლეთა უნებართვოდ ტოვებს სხდომის დარბაზს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოქვეყნებისას სიტყვებით - „როგორ არ გრცხვენიათ“, „თქვენი დროც მოვა“ მუქარანარევ გაფრთხილებად აღიქმება. სასამართლო სხდომის ვიდეოჩანაწერში კი ცხადად, თვალნათლივ ჩანდა, რომ ამ სიტყვებს ადვოკატი მუქარისთვის დამახასიათებელი შესტიკულაციას (თითის ქნევას) ურთავს და დემონსტრაციულად გადის. ადვოკატმა თავისი მოქმედებები და ემოცია უნდა გააკონტროლოს სხდომის დროს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოცხადების პროცესში, რომლის ხელშეშლას სხვა პირებთან ერთად არ უნდა შეუწყოს ხელი. ადვოკატს შეუძლია არ შვიდეს სხდომის დარბაზში გადაწყვეტილების გამოცხადების დროს და არ დაესწროს მას. ხოლო თუ იგი გადაწყვეტს დასწრებას, მან არ უნდა დატოვოს სხდომის თავჯდომარის ნებართვის გარეშე სასამართლო დარბაზი, მაშინაც კი როდესაც გადაწყვეტილების გამოცხადება მიმდინარეობს.

¹ <https://gba.ge/pdf/5c4720732e191.pdf/5c4720732e191.pdf>

დასკვნა:²

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების და ასევე ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა და ადვოკატის მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვრა გაფრთხილება.

² აღნიშნული გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ გასაჩივრდა უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, რომლის გადაწყვეტილებითაც ადვოკატის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მას პასუხისმგებლობის სახით განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (იხ. საქმე Nდს-შ/3-15)